ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის N88 ბინაზე, მოქალაქე ლიანა ინანეიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ლიანა ინანეიშვილის წარმომადგენლის ნინა გაჩეჩილაძის განცხადება /2012 წ. 11.07 Nგ–5442/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის N88 ბინა/ მოქალაქე ლიანა ინანეიშვილის სახელზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის N88 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლიანა ინანეიშვილს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტურქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქ. N2–6 საცხოვრებელი სახლის N88 ბინაზე /საერთო ფართობი 60.60 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 35.89 კვ.მ. დამხმარე ფართობი 24.71 კვ.მ./ მოქალაქე ლიანა ინანეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი გ.თევდორაძე